# სახალხო გაზეთი

№ 641 ხუთშაბათი, 5 ივლისი, 1912 წ. № 641

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად რედაქტორთან პაექრება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



### იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ,

**სახ. გაზ. კანტორა.**

### სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „გრდემლს“.**

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 ენისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე**.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

**მართა თარხანის ასული, პავლე, გიორგი, მიხეილი, კურლიანდიის ლეიბ-ულანის პოლკის როტმისტრი არსენი, იოსები და ევგენი, ნარიო დიმიტრის ასული, ალექსანდრა მიხეილის ასული, მინადორა ასლანის ასული, მარგარიტა ივანეს ასული ლომაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, პირველი—ძვირფასის ქმრისა, მეორე ექვსნი—მამისა და უკანასკნელნი ოთხნი—მამამთილის

### ესტატე ივანეს ძის ლომაძის

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ივნისის 30-ს წალვერში. პანაშვიდი ყოველ დღე, ნაშუადღევის სამ საათზე, ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. გამოსვენება და დასაფლავება მოხდება პარასკევს, 6 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ორასყურის სასაფლაოზე. (1-1374.1)

### დღეს. 5 6 და 7 ივლისს

მუშტაიდში გაიმართება

### სეირნობა. შესვლა უფასოა.

სახალხო სახლის სათეატრო სექციის სასარგებლოდ. აუშვებენ შუშხუნებს, დაუკრავს მუსიკა, საზანდარი, უფასო პროჟექტორი და სხვა. შესვლა უფასოა, დასაწყისი 5 საათზე. (1.546.1)

### ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო.

ტელეფონი № 590.

**სტაცი-ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ციქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაჭავარიანი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ვ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. ვ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann, რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.61)

**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი (საზაფხულო შენობა).**

ხუთშაბათს, 5 ივლისს 1912 წ.

### საგაზაფხულო საღამო

სხვა და სხვა საყმაწვილო სათამაშოები. ბაირაღებით ხელში, მუზიკით სვლა, **საყმაწვილო წარმოდგენა** და **ცეკვა**

დასაწყისი საღამოს 5 საათზე დასასრული—9 საათზე.

სტუმრების ყმაწვილები შესასვლელ ფასს იხდიან 15 კაპ. საღამოთი, კლუბის საზაფხულო თეატრში რუსული წარმოდგენაა. დასაწყისი საღამოს 9 ნახ. საათზე. (3—1357—3)

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ჯავახიშვილი ივ., ქართველ ერის ისტორია წ. I, ფასი 80 კ.
საქართ. ეკონომ. ისტორია . 40 „
ქართ. მეფე და მისი უფლ. ისტ. 15 „
ჯანაშვილი მ. ალვადგინე, ანუ „სამი ისტორ. ქრონიკისა და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ. სახელმძღვან. 30 „
ნაშრომი I, . . . . . . . 20 „
„ II, . . . . . . 20 „
„ III, ჩემი შენიშვნები რუსთაველის გარშემო. ქართ. ბიბლია. მე-6 საუკ. ტექსტები. ლექსიკონი . . . . . 20 „
მეფე ერეკლე . . . . . 10 „
საქართველოს ისტორია . 1 მ.
უკვდავთა ღაღადებანი . 10 „
ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი . . . . . . 40 „
ქართული მწერლობა, წიგ. II, 80 „
ბაქრაძე и Д. Н. Берзеновъ. Тифлисъ въ историческомъ и Этнографическомъ отношеніяхъ . 1 მ.
Бѣлокуровъ. Сношенія Россій съ Кавказомъ . . . . . 3 მ.
Матеріялы для исторій Россій 3 მ.
Бурнащевъ. Картина Грузій, или описаніе политическаго состоянія царствъ Карталинскаго и Кахетинскаго . . . . 25 „
Гзеліевъ Даегліеъ-цера . . 50 „
Гогебашвили. Правда о Тифлисѣ 20 „
Двѣ святыни въ Кахетіи и придѣлы Мцхетскаго храма . 10 „
Восковая свѣча въ Греко-грузинской церкви . . . . . 20 „

ადრესი დეპეშისათვის: Тифлисъ О-во распр. Гр. ((წ. 1141.67)

ქ უ თ ა ი ს ი

### ქუთაისში რკინეულობის სავაჭრო სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(25.1252. 4) პატივისცემით ს. პ. ფეიქაროვი.

ქ უ თ ა ი ს ი

### შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

**ტფილისის განყოფილება.**

იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., ტელეფ. № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 8 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.159.28)

### საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 330)

**დოქტორი მედიცინისა**

### ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების. სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. **კიროჩნის ქ. სახ. № 18,** თავ. ვაჩნაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ № 1 82. (თ. 1037 202)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლანოვის ქ. № 20.** (წ.—1022—53)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვა.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. ½ ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. ხამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია; ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**ერმოლაევი** –ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიშონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1365.3)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 2

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—1 4)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.116

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი.** პირდ. (25—1178—71)

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. მოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-** (წლ—1018—302).

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—1 საათ., საღამოს 7 ს., ბანქის ქუჩა, № 12.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—15)

**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.199)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა. (წ)


## ახალი ამბავი

### ტფილისი

**კავკასიის ნამესტნიკის მოადგილე გენერალი ნ. პ. შატილოვი** დღეს მთხოვნელებს არ მიიღებს, რადგანაც გუშინ გაემგზავრა. დაბრუნდება ზეგ, დილით.

**კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს სენატორს ე. ა. ვატაცის** ტფილისში დღეს მოელიან.

საგრადან მოსულ ცნობით, **პროფესორი ა. ხახანაშვილი ცოტა უკეთ გამხდარა.**

**წესიერი დასვენება.** ახალმა სავალდებულო დადგენილებებმა, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა წესიერ დასვენებას შეეხება, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამის გამო ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა, რიცხვით 17 კაცმა, გუშინ ქალაქის გამგეობაში წერილობითი განცხადება შეიტანა, რომლითაც ხმოსნები თხოულობენ ქალაქის საბჭოს საგანგებო კრების მოწვევას სავალდებულო დადგენილებათა ზოგიერთ მუხლის გადასასინჯველად და შესაცვლელად.

— ამ დადგენილებათა გამო დიდძალი საჩივრები მიუვიდა გუბერნატორსაც, რომელმაც საჭიროდ იცნო, გაუქმებულ იქმნეს დადგენილებათა მეხუთე, მეექვსე და მეთექვსმეტე მუხლები, რომელიც შეეხება ვაჭრობას, თორნეებსა, საკონდიტეროებსა, საჩაიებსა და ისეთ დაწესებულებებში, სადაც სურსათ-სანოვაგესა, პაპიროსსა, ცივ სასმელებს და სხვას ჰყიდიან. გუბერნატორმა უკვე აღძრა შუამდგომლობა ნამესტნიკის მოადგილე გენერალ შატილოვის წინაშე, რათა ზემოხსენებული მუხლები დადგენილებათა გააუქმოს.

**ექსკურსია.** შაბათს, 7 ივლისს, გაემგზავრება მარტყოფის და წმ. ანტონის მონასტრის დასათვალიერებლად. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ „ნაკადულის“ რედაქციაში 12—3 საათამდე.

რედაქციამ მიიღო ჟურნალ **„ნაკადულის“** მორიგი ნომერი. ჟურნალი ჩვეულებრივად საინტერესოდ არის შედგენილი.

**საპროტესტო წერილი.** „რუსკ. სლოვოს“ № 140 დაბეჭდილი იყო „გარეშე აზნაურის“ წერილი რედაქციის მიმართ, რომელშიც ავტორი ეხებოდა ტფილ. გუბერნ. თავადაზნაურთა კრებას და ცუდად იხსენიებდა წინამძღოლად არჩეულს ი. სუმბათაშვილს. იმავე „რუსკ. სლოვ“. № 150 დაბეჭდილია ხსენებული წერილის საპროტესტო პასუხი, რომელსაც ხელს აწერს ასამდე თავადაზნაური.

**მიწათმომქმედ და მიწათმოქმედ მთავარ გამგის რწმუნებულმა** მელვინეობის ტფ. კომიტეტის ინსტრუქტორი მაკარაშვილი გაგზავნა, კარდანახსა, ანაგასა და ვაქირში, (სიღნაღის მაზრა), სადაც უნდა გამოიკვლიოს ადგილობრივ მცხოვრებთაგან გამოურკვეველი ვაზის ახალი ავადმყოფობა და ხალხს შესაფერი დარიგება მისცეს.

ტფ. მეხილეებმა გუბერნატორს საერთო თხოვნა წარუდგინეს; რადგანაც ხილი დღის 12 საათამდე ადრე არ მოგვდის სხვა და სხვა ადგილებიდანა, და მცხოვრებნი კი სადილისათვის ყიდულობენ, ამიტომ ნება დაგვრთეთ ვივაჭროთ 10—12 საათამდე, უქმე დღეს კი საღამოს 7 საათამდეო.

დღეს კრება აქვთ ქალაქის სანიტარებს, რომელნიც ქალაქის გამგეობის წევრთა თანადასწრებით გადასწყვეტენ საკითხს ქალაქის სანიტარიის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

**ჟურნალი „მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს ივნისის ნომრები (11 და 12), რომელშიაც მოთავსებულია წერილები დ. გორთამაშვილისა, ვ. რცხილაძისა, ს. ელიავასი, ა. კახელაძისა, ქ-ნ საგარდისა და ნ. ქეიშვილისა.

პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა ენერგიული ზომები მიიღონ ტფილისში უკვალოდ დაკარგულ ივანე იაგოროვის ძის როდიმოვის მოსაძებნად.

3 ივლისს, ტფილისში შეიპყრეს სენაკის მაზრის მცხოვრები არსენ ფირანის ძე კვანტამანი, რომელსაც აბრალებენ ვ. სილგოგინოვისთვის მუხრანის ქუჩაზე დახვედრას და დანით მის მოკვლის განზრახვას.

3 ივლისს, საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფ. 29 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები.

**სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება.** დღეს, ხუთშაბათს საღამოს 8 საათზე, საბჭოს კრებაა დანიშნული მორიგი საჭირო კითხვების გადასაწყვეტად.

**მესაქონლეობის სექციის კრება** დანიშნულია ამ თვეს. განსახილველი საგანი კრებისა არის: გამოკვლევა იმ ძირითად პრინციპებისა, რომელზედაც უნდა დამყარებულ იქმნეს სექციის სამოქმედო გეგმა.

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ 3 ივლისს სხვათა შორის, განიხილა შემდეგი საყურადღებო საკითხი. მღვდელს მ. კელენჯერიძეს შეუკრებია სახალხო ზეპირ სიტყვიერების დიდ-ძალი მასალა: ლეგენდები, შელოცვანი, ლექსები, ანდაზები, ჩვეულებანი, გამოცანები, გადმოცემანი და სხ. მამა კელენჯერიძის გამოანგარიშებით, ორი ტომი მარტო ზღაპრები გამოვა, ორიც სხვა. მამა კელენჯერიძეს წინადადება შეუტანია გამგეობაში, ეს მასალა გამოსცეს შემდეგ პირობით: შემკრებელი წარმოადგენს დასაბეჭდად გამზადებულ მასალას, რედაქცია და შემკრებელ-დამმუშავებლის სახელი უნდა იყოს მისი. თუ გამგეობა ერთად შეიძენს ამ მასალას, იმ შემთხვევაში უთმობს 400—500 მანეთად, ან და თუ ცალკე შეუდგება ბეჭდვას, მაშინ წიგნის თვითეულ გვერდში აიღებს 50 კაპ. გამგეობა სიამოვნებით შიეგება მამა კელენჯერიძის წინადადებას და დაადგინა, მოლაპარაკება გამართოს მასთან.

**ბამბის მრეწველთა კრება ტფილისში მოხდება მიმდინარე წლის ნოემბერში.** ამ კრებისათვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამზადებს მასალებს კავკასიაში ბამბის მრეწველობის გან-

ვითარების შესახებ. ბამბის მრეწველობის ყოველ მხრივ გამოსაკვლევად საზოგადოებამ კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებში, საანკეტო ფურცლები დაჰგზავნა, სადაც 42 კითხვაა დასმული. ეს კითხვები ეხება როგორც თესვა-მოყვანას, ისე წამლობას, ალებ-მიცემობას, ფასს, ბამბის მრეწველობას, საქმის საუკეთესოდ დაყენების საკითხს და სხ.

## სასწავლებლებში

✦ **ჯამგაროვების სახელობის სასწავლებელის** დაარსების საკითხი თან და თან ირკვევა. ამ წლის დასასრულს დაამთავრებენ წინასწარ სამუშაოს: დამტკიცებული იქნება წესდება, გამოარკვევენ საბოლოვოდ, რა ადგილას უნდა აიგოს შენობა და სხ. სასწავლებელი საშუალო ტიპის იქმნება. იქ ასწავლიან: მიწის მუშაობას, მებაღეობას, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და სასოფლო-სამეურნეო საკითხებთან დაკავშირებულ სხვა საგნებს. სკოლა მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამგებლობის ზედამხედველობის ქვეშ იქნება. სწავლის ნება ექნებათ როგორც სომხებს, ისე უცხოთაც, მხოლოდ მთელ მოწაფეთა რიცხვის არა უმეტეს ერთი მესამედისა.

✦ **ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის** სამზრუნველო საბჭოს კრება 7 ივლისს მოხდება. საბჭო აირჩევს პროგიმნაზიის გამგეს. ამ ადგილს 30 ქალი თხოულობს.

## სასამართლო.

✦ **ძმის მოკვლა.** 3 ივლისს ტფ. სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ბესარიონ ჩუბინიძისა, რომელსაც თავის ძმის ლევან ჩუბინიძის მოკვლა ბრალდებოდა. პალატამ ბრალდებული დამნაშავედ იცნო და ღირსების ახდა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

## სოფლად

✦ **სოფ. დიდი მიტარდი** (გორის მაზრა). სოფიო ხეთაგურმა ჩხუბის დროს ნაჯახით თავი გაუპო თავის ქმარს ილიკო ხეთაგურს. ხეთაგური იქვე გარდაიცვალა. მკვლელი შეიპყრეს

✦ **ს. ცხინვალი** (გორის მაზრა). ჩხუბის დროს შალიკა ზაზოვმა ხანჯლით გულში მძიმედ დასჭრა იოსებ დავარაშვილი, რომლის მორჩენა საეჭვოა. ზაზოვი შეიპყრეს.

✦ **სოფ. აკორი** (ახმეტის საზოგადოება). აქაურმა მცხოვრებლებმა სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მამულების გასაუმჯობესებლად მიეცეთ მათ სესხი 38,500 მანეთი, 20 წლის ვადით. ამ ფულით მათ სურთ, 1-დან 5 ვერს.

არხები გათხარონ, რომელთა შემწეობით შეიძლება მთებიდან წამოსულ ზვავების დაკავება. ამავე ფულიდან აპირებენ თავიანთი მამულების ნიადაგის გაუმჯობესებას, გორაკების გასწორებას და ვენახების დამუშავებას.

# ჟურნალისტის დღიური.

72.

**ქართული ლექსიკონის გარშემო.**

კვლავ გაიმართა ლაპარაკი ქართულ ლექსიკონის შესახებ. მაგრამ საუბედუროდ თავიდანვე ამ ლაპარაკს თან ახლავს არა იმდენად საქმიანობის ელფერი, რამდენადაც ქიშპობისა და ერთმანეთის გაუგებრობისა. ჩვენს გაზეთში ჯერ ამ რამდენისამე დღის წინად და მერე კი გუშინ მოთავსებული იყო ცნობა—რომ ბ-ნ აბულაძეს წარუდგენია მოხსენება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში განსაკუთრებულ სალექსიკონო სექციის თუ კომისიის დასაარსებლად. ეს წინადადება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს უარუყვია. ბ-ნ ი. აბულაძესაც გადაუწყვეტია განსაკუთრებული რაღაც ორგანიზაცია დაარსოს. ამავე საკითხს ეხება დღევანდელ ნომერში ბ-ნი გრ. ყიფშიძე.

სწორედ მოგახსენოთ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ან საბჭოს რად დასჭირდა განსაკუთრებულ სექციის დაარსების უარყოფა და ან კიდევ ბ-ნ ი. აბულაძეს რად განუზრახავს რაღაც განსაკუთრებულ ორგანიზაციის დაარსება? პირად ჩემის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს გამოჰყოფოდა განსაკუთრებული სექცია, რომელსაც მხოლოდ ეს ერთი საქმე დაეკისრებოდა და რომელიც მხოლოდ იმაზე იზრუნებდა, რომ თავის გარშემო შემოეკრიფა ყველა მცოდნე და მსურველი ამ საქმისა. მაგრამ, ესთქვათ, საბჭომ ამა თუ იმ მოსაზრებით, მეტადა სცნო ასეთი სექციის დაარსება. განა ეს იმის მომასწავებელია, რომ საბჭოს არა ჰსურს მუშაობა? განა ეს საბუთს აძლევს ვისმეს და მათს შორის ბ-ნ ი. აბულაძესაც განსაკუთრებული რაღაც ორგანიზაცია დაარსოს და ამით გაჰყოს, გაანაწილოს ძალები? ვინ დაუშლის ბ-ნ ი. აბულაძეს, ან სხვებს, მასსავე სპეციალისტს, როგორც უნდა იმუშაოს იმავ საბჭოში, თუ მართლა ჰსურს და შეუძლიან მუშაობა? ორგანიზაცია მხოლოდ გარეგანი ფორმაა, ჩარჩოა, რომელშიაც უნდა სწარმოებდეს მუშაობა. ვისაც მუშაობა უნდა, საქმეს ამ გარევან ფორმას არ ანაცვალებს? ჩვენში კი ხშირად საუბედუროდ წინააღმდეგ ჰხდება ხოლმე? გვაინტერესებს არა იმდენად საქმის შინაარსი, რამდენადაც გარეგანი გამოხატულება საქმიანობისა.

ჩემის ღრმა რწმენით, დღევანდელს პირობებში არავითარ განსაკუთრებულ ორგანიზაციის დაარსება საჭირო არ არის. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას თვითონ შეუძლიან მოაწესრიგოს ეს საქმე. ვისაც მუშაობა ჰსურს, იქაც მოახერხებს მუშაობას. საჭიროა მხოლოდ ენერგია და საქმის გულწრფელი სიყვარული **შინაური.**

# ქართული ენა
## და
## მის კვლევა-ძიების საქმე.

„ენა ერია".

ძველი მეცნიერი.

ვინ იტყვის, რომ დედა-ენას დიდი და ღრმა მნიშვნელობა არა ჰქონდეს ერის ცხოვრებაში. უენოდ ერი ერი არ არის, ვერ ერობს, ერთაგან „განაკიდია". ეს ახლა ყველამ იცის. ყველამ იცის ისიც, რა სიტკბო აქვს დედა-ენას, რა ძლიერებით არის შთანერგილი მისი ფესვები ჩვენს გულსა და სულში, რა დიდი ფარი და ხმალია ერისა, რა ყოვლად-ძლიერი აპარატია ჩვენის სულიერის ცხოვრებისა, ჩვენის ფსიხიკისა.

დედა-ენა ჩვენის სულიერის არსებობისათვის იგივეა, რაც არქიმედის „წერტილი დასაყრდნობელი" დედამიწის შესაძვრელად, ის დიდი აზარმაცია, რომლის მხოლოობითის შემწეობით შეიძლება ქმნა სასწაულისა, ქმნა საკვირველისა და დიდებულის საქმისა. განა რუსთაველი შეჰქმნიდა თავის „ვეფხის-ტყაოსანს", რომ დედა-ენის სიყვარულში, მის ღრმად შესწავლასა და შეთვისებაში არ აღზრდილიყო სიყრმითვე? განა განვიცდიდით იმ სიამოვნებას, იმ ნეტარებას, იმ ძვრას სულისას, რომელსაც ვგრძნობთ, როცა ვკითხულობთ ჩვენთა პირველ ხარისხოვან მგოსანთა და ხელოვან მწერალთა ნაწარმოებს, თუ იმათ დედა-ენის ცოდნა, ღრმა ცოდნა და სიყვარული არა ჰქონოდათ?

ეს და ყოველი სხვა ამგვარი აზრი და ფიქრი ანბანია ყველასათვის, ისეთივე ტრუიზმია, როგორც ორჯელორი ოთხია.

მაგრამ საქმე ეს არ არის. საქმის ძალა ის არის, რომ ღრმად შეგნებული ინტერესი იქმნას გაღვიძებული ერში დედა-ენისადმი, მის მეცნიერულ კვლევა-ძიებისადმი. და, აი, სწორედ ამ საგანს შეეხება ჩვენი აკადემიკოსი და მეცნიერი მკვლევარი ნ. მარრი თავის წერილში (რედაქციის მიმართ). ესე იგი, საქმე ის არის, როგორ მოვაწყოთ მეცნიერული კვლევა-ძიება ჩვენის დედა-ენისა და მის „საგანძურის" (სიტყვა მარრისა) ანუ ვრცელის ქართულის ლექსიკონის შექმნისა.

ძალიან ადვილადაო, შესაძლოა იფიქროს მკითხველმა. ჩვენ ხომ დავაარსეთ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება, საცა ავირჩიეთ სპეციალისტები საისტორიო და საეტნოგრაფიო კვლევათათვის. აი, ეს მზა-მზარეული ორგანიზაცია უნდა შეუდგეს იმ საქმის თანდათანს და სიფრთხილით შემუშავებას, რომელსაც პატივცემული მარრი დიდს „საკითხს" უწოდებსო. დიაღ, ზედ-მიწევნილია მკითხველის ასეთი ფიქრი, მაგრამ მხოლოდ პირველ შეხედვით. ნამდვილად-კი სხვას ვხედავთ. მართალია, ჩვენს საისტორიო საზოგადოებას „წესდებაშიაც" უწერია, რომ ნება აქვს შეადგინოს ცალკე განყოფილება, ესრედ-წოდებული ლინგვისტური განყოფილება. არსებობს კიდეც, ვგონებ, ასეთი განყოფილება საბჭოს ერთ-ერთის წევრის ცალკე თავმჯდომარეობით. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ამ განყოფილების მოქმედებისა არა ისმის-რა. მისი ნამუშევარი და ნაკვლევ-ნაძიებელი, ან შემოგროვილი რამ მასალა სალექსიკონო, სალექსიკოგრაფიო, საფილოლოგიო და სალინგვისტიკო ჯერ არა გვინახავს-რა. არც კი, დიდი ხანია, ღვთისწინაშე, გასული მას აქეთ, რაც არსებობს ჩვენი „საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოება" თვისის ლინგვისტურის განყოფილებით, ისე რომ სულ-სწრაფობა იქნება, ახლავე მოვთხოვოთ ღრმა და ნაყოფიერი შრომა ამ განყოფილებას ჩვენის ენის საგრამატიკო და სალექსიკონო კვლევა-ძიების სფეროში. სამწუხარო მხოლოდ ის არის, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, ვერც ნიშნებს რასმე ვხედავთ, რომ იგი განყოფილება დასდგომოდეს რაიმე გზას, შესდგომოდეს მაინც საქმეს. ალბად, ამ გარემოებამ გამოიწვია სურვილი ბ-ნ აბულაძისა განყოფილების რეორგანიზაციისათვის, სურვილი ცალკე კომისიის შედგენისა იმათის მიწვევით, ვისაც აქვს წყურვილი და ცოტაოდენი შესაფერი მომზადება თვისის წვლილის გამოსაღებად ჩვენის ენის საგანძურისათვის მასალის მოგროვებითა, საგრამატიკო წერილმანების კვლევა-ძიებითა. ჯერ ხომ ჩვენში თითქმის ხელ-უხლებელია ისეთი ვრცელი ასპარეზი ენის ძიებისა, როგორიც არის ფონეტიკა-მისი, მორფოლოგია, სინტაქსი, სემასიოლოგია, კანონები მახვილისა და აქცენტუაციისა, კანონები ქართულის პროსოდიისა; იმოდენად ხელ-უხლებელია, რომ ჰექზამეტრი შაირისაგან ვერ ვაგვირჩევია და მოძრავი მახვილი რუსულისა მკვდარი, უცვლელი გვგონია, ხოლო, პირიქით, მტკიცედ განსაზღვრული ადგილი მახვილისა ქართულში—მოძრავი და ცვალებადი. ყოველ ამის შემდეგ, გაუგებარია და მართლა გასაკვირველი, ბ-ნ მარრისა არ იყოს, რად იქმნა უარ-ყოფილი წინადადება „საისტორიო საზოგადოების" საბჭოს წევრისა ლინგვისტურ განყოფილების რეორგანიზაციის შესახებ და რად იქმნა ის კრება საბჭოსი, რომელზედაც ეს საგანი იყო განსახილველი გარეშე მიწვეულია თანადასწრებით, დანიშნული სადაც დღეს, დილის 11 -12 საათზედ, როცა ზოგიერთს მიწვეულთაგანს სამსახური დაუშლიდა იმ კრებაზედ დასწრებას და თვისის აზრის გამოთქმას ამ საინტერესო საგნის შესახებ.

ყოველივე ზემორე თქმული და მთლად გარემოება საქმისა გვაიძულებს დავასკვნათ, რომ „საისტორიო-საეტნოგრაფიო საზოგადოებასაც", ვგონებ, ისეთს საქმეს დავმართებთ, რაც დავმართეთ „წ. კ. საზოგადოებას", ესე იგი თითქო გვინდა ისიც ისევე დავტვირთოთ, ისევე მრავალგვარი საქმე დავაკისროთ და იქამდე მივიყვანოთ, რომ ფორმალურად საქმეს ხელი მოჰკიდოს და არსებითადკი არა გააკეთოს-რა, ნაკლებად იმუშაოს ან გონებრივ ძალთა უყოლობით ან მოუცლელობით სხვათა საზრუნავთაგან და ან სხვა რაიმე გარეგანის თუ შინაგანის მიზეზით.

ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა კვლავ საქმის გამარტივების გზას დავადგეთ, კვლავ მოვითხოვოთ დიფერენციაცია ძალ-ღონეთა. საჭიროა დაარსდეს ცალკე ორგანიზაცია იმათი, ვისაც აქვს შნო და უნარი დედა-ენის სამეცნიერო შესწავლას ხელი შეუწყოს, მის „საგანძურისათვის" მასალების დამზადებას და მოგროვებას ხელი მიჰყოს მხნედ, დაუზარებლად, სისტემატიურის ბეჯითობით.

ყოველის შეგნებულის ქართველის ვალია, თანაგრძნობით მოეკიდოს ასეთს დიდს საქმეს, ანუ როგორც ჩვენი დაუღალავი ორიენტალისტი, ქართველოლოგი ბ-ნი მარრი ამბობს, „დიდს საკითხს". ეს „დიდი საკითხია" მომზადება ნიადაგისა დიდის და ვრცელის ქართულის აკადემიურის ლექსიკონის შედგენისათვის, ისეთის ლექსიკონის შედგენისათვის, რომელიც იქმნება ნამდვილი საუნჯე ჩვენის ენისა; თან, მხარ და მხარ, ამ დიდ საქმესთან ერთად, ახალი ორგანიზაცია შეუდგება ქართულის ენის სამეცნიერო კვლევას, მის ფონეტიკისა და მორფოლოგიის, მის სემასიოლოგიის შემუშავებას, დაუკვირდება ამ ენისა და მის იდიომების საგრამატიკო [illegible] ახლა, მათს [illegible] ისტორიულ დროთა [illegible] და აქცენტუაციის კანონებს, როგორც დედა-ქართულში, ისე მის იდიომებსა და კილოკავებში, შეიგნებს მის პროსოდიის კანონებს და, მთელის ქვეყნის სამასხარაოდ, აღარ განმეორდება ის, რაც ამ რამდენისამე დღის წინად, საჯაროდ, საქვეყნოდ იყო თქმული ერთს ჩვენებურ, ჩვენის კაცის რუსულ გაზეთში, რასაკვირველია, საარაკო უვიცობით და დილეტანტობით, რუსთაველის შაირი წმინდა ჰექზამეტრიაო. ვინც იმუშავებს ამ საქმისათვის, ის იმუშავებს ქართველთ ერისთვის. მუშაკი ენისა მუშაკია ერისა, იმიტომ რომ „ენა ერია", მისი დიდებული დახასიათება და ისტორიაა. **გრ. ყიფშიძე.**

# პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრე

სამეცნიერო წრეების სარგებლობა ყველას მოეხსენება. სამწუხაროდ ეს ორი წელიწადია წრის ცხოვრება ვერ იყო ნორმალური. შარშან არეულობამ ხელი შეგვიშალა, და მხოლოდ რამოდენიმე კრება მოხდა. წელს კი ენერგიულად შეუდგნენ მუშაობას. მუშაობდნენ ბიბლიოგრაფიის შესადგენად და კითხულობდნენ მოხსენებებს. წელს სულ 6 მოხსენება წაიკითხეს შემდეგს თემებზე: ს. ჟორჟოლიანმა—„ილია ჭავჭავაძე და განდეგილობა"; ა. ბანიძემ—ხევსურეთი: ენა, ზნე, ჩვეულებები და სარწმუნოება; ბ. დადიანმა: „ქართველი დედა—ქართველ მწერლებთა ნაწარმოებებში"; გ. ქუბაბრიამ—„მოქალაქობრიობა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებით"; კ. თარხნიშვილმა—„სამართალის წარმოება ვახტანგ მეექვსეს კანონების მიხედვით", ი. ანთაძემ—„ორი ნიმუში მიწის მფლობელობისა საქართველოში მე XXI და XXIII ს.ს.".

როგორც მკითხველები დაინახავენ, მოხსენებები მარტო ერთს დარგს არ შეეხება. მეტად საინტერესო იყო მოხსენება ბანიძისა (ორი საღამო გაგრძელდა), რომელიც საიმპერატორო აკადემიის მიერ ხევსურეთს იყო გაგზავნილი და ლინგვისტური მასალების შესაკრებად. მოხსენებები შემოდგომაზე სამეცნიერო წრის კრებულში დაიბეჭდება.

რადგანაც შემჩნეული იყო, რომ გამგეობის წევრები ბევრად უფრო მუყაითად მუშაობენ და სამუშაოც მეტია, წინანდელი 5 კაცის მაგივრად 8 აირჩიეს. გამგეობამაც წრის იმედი არ გაამტყუნა და მუშაობას ბეჯითად

# ქართული ლექსიკონი

3. 1)

**დ. გ. კარიჭაშვილი. „ვეფხის-ტყაოსნის" ლექსიკონი.**

შვიდასამდე სიტყვაა ახსნილი, ხოლო განმარტებულია კიდევ 289 თქმა ანუ ლექსი.

ავქსონს შრომა არ დაუზოგია, რომ მისი მოძღვნილობა, რაც შეიძლება, ღირსი ყოფილიყო იმ წმინდა წიგნისა, რომელიც ქართველთათვის ითვლება მეორე სახარებად.

შოთა ცხოვრობდა მე-XII საუკუნეში და იმ დროის ქართველთა საერთო ენითაც სწერდა. მის შემდეგ, რადგან ღმერთმა არა ერთხელ „სიმრგვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წამოჰგრაგნა", შოთას სამკვიდროდან ზოგი რამ გაიყინა, გაქვავდა ანუ მოისპო ერთგან და დაშთა მეორ-მესამე ადგილას. შოთას „პაშტა" — საკმაო აღარ არის ქართლ-იმერეთში, ხოლო სუფევს საინგილოსა და აჭარაში, მისივე აზომ (აგზომ, ეგზომ, მაგდენ) მკვიდრობს სვანეთში (აჯ-ზომ) და სხვაგან კი მწერლები და თუ ხმარობენ მას, თორემ ჩვეულებრივს მკითხველს განუმარტველად აღარ ესმის. **მისქინი** ლამაზი სარგის თმოგველის დროს საერთო იყო, დღეს კი ბრგინობს სვანეთში (მუსგვენ), სამეგრელოში (სქვამი) და ზემო იმერეთში (პიჩვინი).

რამდენია ამისთანა მაგალითი! ამიტომაც ვეფხ.-ტყ. შესწავლა-გამოცემა და მის ლექსიკონის შედგენა მეტად ძნელი, რთული საქმეა და, ვიტყვით, ეს საქმე დღეს არ ძალუძს ერთს კაცს: ეს შეეძლება მას მაშინ, როდესაც ქართ. ლექსიკოლოღია შეივსება საქართველოს ყოველს კუთხე-კუნჭულში დარჩენილი მასალით და აგრეთვე იმ სამკვიდროთი, რომელიც დაგვიტოვეს შოთას თუ მის წინა დროის მწერლებმა და მოღვაწეებმა. მომყავს აქ რამდენიმე თქმა, ლექსი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, არ არის ჯეროვანად განმარტებული, ახსნილი.

„**აზავერი** 449 ხარი". აზავერი ხარია, მაგრამ საკიდარი, ტვირთის საზიდავი. „მომართუმიდეს აზავრებითა საზრდელსა: ფქვილსა, ლეღვის კუერსა, სკიპსა (**ქიშმიშ**), ღვინოსა, ზეთსა, ხბოებსა და ცხოვარსა", (1 ნეშტი 12, 40).

„**ასაქმარი** 132 გამჭრელი, დამჭრელი". სულაც არა! „გულსა დანა ასაქმარი", ე. ი. გულში დანა ასაქმარე, ასაქმე, დაატრიალე.

„**ასული** 33, ე. ი. ასეული. ენა ბევრად ასული, ბევრჯელ ასი ენა". **ასული** ასის წარმოება კი არ არის, არამედ მიმღეობაა ზმნისა ასლივა. „ენა ბევრად ასული" ნიშნავს მეტის-მეტად აღზევებულს ენას. „ბევრად ასეულს" ანუ მილიონს (ბევრი X 100 = 1,000,000) ენას კი არ გულისხმობს შოთა, არამედ იმისთანას, რომელიც ძალიან, ნამეტან მჭევრია. ბევრად დიდი, ბევრად ნაღვაწი ნიშნავს არა ბევრჯერ დიდს, ნაღვაწს, არამედ ძალიან დიდს ნაღვაწს.

„**ახე** 424 სწორი". ჩემი გაჰკვეთს ხორცსა მათსა ხმალი ბასრი, შუბი ახე". აქ სწორი კი არა, ახეა, ე. ი. ახალი. შეად. სვან. მ-**ახე** ახალი; ახება იგი ახლებაა.

„**დავაშავითა** 745. ეს სიტყვა არ გვესმის. თეიმურაზი მას ხსნის სიტყვით დანაშაული, მაგრამ ამ ახსნას არ აქვს საფუძველი". ავქსონს ჰგონია, რომ ეს სიტყვა უნდა შეიცავდეს მთელს ფრაზას: „და ვალ შავითა" ან „და ვარ შავითა". სამწუხაროდ, არც ერთია, არც მეორე. **დავა-შავა** (ინგ.) = თათრ. დაჰვა-შაჰვა არის იგივე, რაც დავი-დარაბა. მხოლოდ ამის გამომთქმელია შოთას: „ვაჲ, კარგი თავი უებრო დავკარგე დავა-შავითა"! იგივე საზოგადო ქართულში დარჩენილა ფრაზა: „დავა არა, შავა"!

„**დანასვა** 178 გაფუჭება, წახდენა". დანასვა (ინგ. და ძველებ.) = დანავსვა. ღვთივ-განსვენებული ილია: „ნასი ვერ კეთილი, ნავსი, გონჯი" (იხ. ვისრამ. ლექსიკ.)

**დასტენა** 366 დასველება". გამოდის, რომ „დასტენა" ყოფილა დასველება! ჩვენ ვიცით სახელ-ზმნა დატენა, რომლისაგან **დასტენა** გვამცნევს დაატენიანა-ს, დაასველა-ს და არა „დასველება"-ს. ვარდი კვლავ ცა რად დასტენე"? (ტ. 366). ამისგან სახელზმნაა დატენა, ხოლო „დასტენა" წარს. დრ. მესამე პირს აღნიშნავს.

„**დალი** ცეცხლ-ნადები ადგილი". ზედ-გამოჭრილი ახსნა ვერ არის: ტივს, ხელს, მიწას, ქვას და სხ. რომ ცეცხლი დაედოს, განა დალი იქნება? ამას გარდა, არის კიდევ „მიჯნურობის დალი" (ვისრამ. 133) უცეცხლის ნადებოდ!

„**დგრიალი** 1100 ხმაურობა". ხმაურობაა", მაგრამ რის და რით? „მოედანს... დგრიალი ცხენთა დგენისა".

„**ეაგე** 1351". სიტყვის მნიშვნ. ავქსონს, როგორც თვითონვე იუწყება, არ ესმის. იგია: თეიმურაზით „მფიქრებელი, საქმის გამომრჩეველი, მომგონებელი"; ჩუბინაშვილით „გაიგეთ, მიხვდით". ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ჯოგი ნახეს, მოეწონათ: ფრიდონისთვის ე აგეთა"! ეს აგეთი ჯოგი ფრიდონისთვის! ფრიდონს უნდა ჰყავდესო!

„**ესადრე** 138 ესრე". ნამდვილად: „ე სად-რე": „ვარდსა სიშორე შენი დაჰაჩნდეს ე სადრე". **რე** მეგრულად და ძველ ქართულად ნიშნავს ა-ს, სად-რე=სადა.

„**ვარდება** 1315 ვარდათ გადაქცევა". ჩვენ დავწერდით=გავარდება. ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა".

„**კატაბანი** 434 ტყუილი" ასრე ხსნიან ყველანი, მაგრამ ლექსის აზრის მიხედვით, ჩვენ გვგონია, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კათაბანი „ვინცა მიჭვრეტდის, ბნდებოდის: მართლად არს, არ კათაბანი"... მართალია და არა ხალხის, ბრბოს ხმა (მეგრ. კათა ხალხი, ბრბო).

„**მიერი** შექმნილი, შედგენილი". სახითა მის **მიერითა**. აქ „მიერითა" ნიშნავს მსგავსებას და არა შექმნას, შედგენილობას!

„**მოგდება** 270 მინდობა". ჯერ ერთი, გდება რომ ნდობა ყოფილიყო, მოგდება **მონდობა** იქნებოდა და არა **მინდობა**, და, მეორეც, მოგდება („ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზე მოუგდია") ნიშნავს მოანაბრებას, კეთილ-მნებელობაზე მოგდებას და არა მონდობას.

„**მომწურება** 589 მოწევნა". რა არის ეს „მომწურება?" **მოწურვა** და არა მომწურება! იხილე: „არ მომწუროდეს წინანნი"—წინანი არ მომწუროდნენ. **მოწურვა:** მომწურონდნენ, მოგწუროდნენ, მოსწუროდნენ, მოგვწუროდნენ, მოგწუროდნენ, მოსწუროდნენ=მომწუროდეს, მოგწუროდეს და სხ.

„**მორება** 92 მოვლა. თვალნი მოარნა, მიიხედ-მოიხედა". თვალნი მოარნა ყოველგან, ნახა ლაშქართა ჯარია". „მოარნას" დასაწყისი არა „მორება"-ა. არამედ **მოარება** ისე, ვით მოაზრება და არა მოზრება, მოახლება და არა მოხლება და სხ.

„**ვერ მოვეყავ აქლემთა**"-ში მოვეყავ რაღაც **მოყოფნა** კი არ არის, არამედ მოყვანა.

„**მოხე** 1238 ხის მხაძავი, ხისთვის თავის მიმსგავსებელი". აზრი დაბნელებულა ცუდის წაკითხვით, ასე: „მკლავს ტანი ალვისა მოხისა". შოთა კი ამბობს: „მკლავს ტანი ალვის **ამო** ხისა".

**მსწრომელი** 1143. მეტის და უადგილოდ მოლაპარაკე". ამისთანად ჩვენ გვგონია პირველი ნახევარი—**მსწრო**, ხოლო **მელი** კი მიგვაჩნია მელიად. შეად.: ხელმწიფემ წინა „მისვა. მთვრალი ვაჭარი, ცქაფი. უწფელი, მსწრო, მელი".

„**პაშტა** 406 პატარა". ყველგან და ყოველთვის ნიშნავს **საკმაოს** და არა პატარას. საკმაოს მნიშვნელობით მას ხმარობენ სარგის თმოგველი, მეორე ხონელი, იაკობ შემოქმედელი, თეიმურაზი, არჩილი და სხ. „პაშტასა საჭურჭლესა უსაქმოდ გაანქრევო" (ვისრ., 40).

„**რიდება** 479 რიდედ გახდენა". ჯერ ერთი, რომ „გახდენა" შესაწყნარებელი არ არის (მის მაგიერ იხმარება ქცევა, ქმნა, ზმა: „ნეტავი რადმე მაქცია, ბულბულად გადმაქცია"), და, მეორეც, ხსენებულს ტაეპში არავითარი „რიდედ გახდენა" არა სჩანს. შეად:

„... ცრემლთა... ცუდად არ იდენო (არ ჰღვრი)

... ჭირსა თავი არიდენო (მოარიდე)

შენნი მჭვრეტელნი შენთა მჭვრეტელთა,—აგინებენ—არიდენო (განაშორე)

რომე წყლან მოგეხვივნეს, იგი ჩემთვის არიდენო (არიდე, აღარ მოიხვიო).

„**სასურველი** 682. მოსასურვებელი". იქ სწერია: „ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად". აქ, ჩვენის ფიქრით, სასურველად ჩვეულებრივ მნიშვნელობით ნახმარია და არა სხმით-გადასვლითად. სიგელ-გუჯრებსა და სხ. ხშირად იხმარება სასურველი შვილი, სასურველი ასული. ტარიელისთვისაც აგეთ სასურველ ქალად იყო მისი ასმათი.

„**სადაგება** 136. გაპარტივება, გაშინაურება; დასაწველად გახდენა". ეს წარმოებულა სიტყვ. **სადა, სადაგი**, რომელიც ნიშნავს მარტივს, ჩვეულებრივს, უბრალოს, წრფელს: „სახარებას სადაგად შევმოსე" (კორიდეთის სახარების წარწერა); სადათ შემოსილი იყო; დღესასწაული კი არა, სადა დღე შემოგვესწრა; სადა გულის პატრონი იყო.

მე.136 ტაეპი კარიჭაშვილის რედაქციით:

ავთანდილი და თინათინი

„ერთგან დასხეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს;
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მჭვრეტთა თავი, ხელი ასად აგეს,
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა გული ჩემი ასადაგეს."

ბოლო სიტყვებს ასე განმარტავს პატივცემული კარიჭაშვილი:

1-ლს სტრიქონში: „**ასად აგეს** ასჯერ გაადიდეს",

მეორეში: **ასადაგე** სადაგი (უბრალო, ჩვეულებრივი) გახადეს"

მესამეში: „**ასად აგეს** ასად აქციეს, დიდად, მძლავრად წარმოადგინეს"

მეოთხეში: „**ასადაგეს** დასაწველი (სადაგი, დასადაგი) გახადეს".

ამისთანა განმარტებას ვერ ეთვისება შოთას ტაეპში გამოთქმული.

საუბრის გადიდება, მით უმეტეს ასჯერ, ჩვენ არ გვსმენია, შოთა ხომ, ენა-მზე მოქართულე, ამას ვერ იგულისხმებდა. საუბარს ახშირებენ, განაგრძობენ, და ასიც არა ასჯერ, არამედ **აწ** შეწყვეტილს იწყებენ **მერე** და, თუ ვერ დათავდა, განაგრძობენ **შემდეგ, კვლავ**, მეორე დღეს და სხ.

მეორე სტრიქონში **ბროლად, ბადახშად** და **გიშერად** შოთა იგულისხმებს, მოსაუბრეთა ბროლ კბი-

1) № 631: დაბეჭდილია: „არაია ქეჩტურმალი", მაგიერად „არაია ქეჩტურმად", „ინკ. ჩირადი" მაგიერად. „ინგ. ჩირად".

№ 636: „მომტვრევაა", უნდა იყოს „მომცვრევა", „ან არა გამოკუფხვლის" უნდა იყოს და არა „ბიშოულ"—ბაშლულ; „კორუდი საბალახო" სწორე. უნდა ყოფილიყო „კორ. საბ." აქეთობისათვის სწორე". „მოუსო" „მეგრულად"—მ. მეგრული.

მისდევდა. ბევრი შრომა იყო საჭირო და გასწია კიდეც მან ანკეტის მოხდენის დროს. თითქმის ყოველი სტუდენტისათვის ფურცელი ბინაზე იყო მიტანილი დარიგებულა კი სულ 250-300 ფურცელი. წრეში გამოთქმული იყო აზრი, რომ საჭიროა მოწვეულ იყვნენ მცოდნე პირნი, რათა მსურველთ რუქების ხატვა და ანთროპოლოგიური ცნობების შეკრების მეთოდები შეასწავლონ, მაგრამ უსახსრობის გამო წრე იძულებული გახდა ეს მეტად საჭირო საგანი უარ ეყო. საზოგადოდ ყოველგან, საცა ფულია საჭირო, წრე იძულებულია თავი შეიკავოს, მით უმეტეს, რომ ზემოთმოყვანილმა ანკეტამ ბევრი ფული იმსხვერპლა. შემოსავალი კი ძალიან მცირეა. ამიტომ არის, რომ ქართული წრე უფრო დაბლა სდგას, ვიდრე მაგალითად ციმბირის სამეცნიერო წრე.

ციმბირის სამეცნიერო წრის მოღვაწეობით დაინტერესდა გარეშე საზოგადოება და ფულით დახმარება გაუწია. წრემ ამ ფულით შეიძინა სახელმძღვანელოები და საჭირო მასალები. სამშობლოში ეკსკურსიით საზაფხულოდ მიმავალ სტუდენტებს დაურიგა და დაავალა მეცნიერების სხვა და სხვა დარგში ცნობები შეეკრიბათ, პირველმა ორმა წელმა, მართალია იმდენი სარგებლობა ვერ მოიტანა, მაგრამ მესამე წელიწადს შესაძლო გახდა საიმპერატორო აკადემიის სადარბაზო ოთახში მშვენიერი გამოფენის გამართვა.

ამიტომ ქართულმა სამეცნიერო წრემ გადასწყვიტა, შეძლების და გვარად საქართველოში რაიმე შემოსავლიანი საღამო ან ლექცია გაემართა. ამ მიზნით თავის წევრებს სხვა სხვა ქალაქებში წარმომადგენლობა მიანდო. წევრებს დავალებული აქვთ აგრეთვე თამარ მეფის შესახებ ყოველივე ცნობები შეკრიბონ, რათა შემოდგომაზე მისი გარდაცვალების 700 წლის თავი რითიმე აღნიშნოს.

ი. ანთაძე.

## სხვა და სხვა ამბავი

**ბურცევი და პროვოკატორები.**

ცნობილ ბურცევს, როგორც „ბუდუშჩეე" გადმოგვცემს, კიდევ აღმოუჩენია ერთი პროვოკატორი. ესაა — ანარქისტებში კარგად ცნობილი მათე სოტნიკოვი, რომელსაც მეტ სახელად „ნიკოლოზ მელიტოპოლელს" ეძახდნენ. იგი მონაწილეობას იღებდა თურმე ექსპროპრიაციებსა, ტერორისტულ აქტებსა, დინამიტის ლაბორატორიის მოწყობასა და სხვა მრავალ საქმეში.

1909 წ. სტოლიპინის განკარგულებით იგი მიუღიათ დამცველთა „დამხმარედ". სოტნიკოვი ყველაფერში გამოსტეხია ბურცევს. სოტნიკოვის სამარის ციხიდან გაქცევა სიმულაცია ყოფილა.

**სტუდენტის ოინი.**

„სიბირსკი კრაიში" დაბეჭდილია რევოლუციის წინა დროების ცენზორის, სისასტიკით სახელგანთქმულ პროფ. შულცის სამსახურიდან გადადგომის ისტორია.

ერთხელ ცენზორი შესულა რესტორან „მავრიტანიაში", მაგიდასთან დამჯდარა და რაღაც მოუთხოვნია...

ამ დროს მეორე მხრიდან, ღასლასით წამოსულა ცენზორისაკენ ვიღაც სტუდენტი.

მისულა შულცთან, თავი დაუკრავს და უთქვამს:

— ახლად ჩამოსული სტუდენტი გახლავართ... თქვენ კი პროფეს. შულცი ბრძანდებით, არა?

— დიახ, ის გახლავართ...

— დიდად სასიამოვნოა. დიახ... ცენზორი ბრძანდებით?..

— ცენზორი გახლავართ...

— წაშლით ხოლმე, არა?

— წავშლი ხოლმე.

— ასეთი კარანდაშითა? ეუბნება სტუდენტი და დიდ წითელ კარანდაშს უჩვენებს.

— მაგეთი კარანდაშითა! უპასუხებს ცენზორი და ოდნავ იღიმება.

— აბა, ეხლა, მე წაგშლით, გეთაყვანე! წარმოსთქვა ენის ბორძიკით სტუდენტმა, სულ ხომ შენ არ უნდა წაშალო... ერთი ჩვენცა, ერთი ჩვენცა...

ელვის სისწრაფით სტუდენტმა რამდენიმეჯერ ჩამოხაზა ცენზორის ტანისამოსი... შემდეგ ჯვარედინად წითლად გადახაზა თურმე უშველებელი, მოტვლეპილი თავი ცენზორისა.

— პოლიციავ! დაიყვირა გახაზულ-გამოხაზულმა ცენზორმა.

ვიღაცამ რიღაცის ყვირილი მორთო, ისმოდა სიცილ-ხარხარი. ცენზორის სტოლს გარს შემოეხვივნენ, დაიწყეს ენამახვილობა.

მოვიდა პოლიციის ზედამხედველიცა.

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! ყვიროდა ცენზორი შულცი... დაიჭირეთ!..

— ვინა, ვინა ბატონო!...

— აი, ისა, სტუდენტი... სტუდენტი.

აქეთ-იქით ეცნენ, ყველგან მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ვერავინ აღმოაჩინეს. სტუდენტი იმ ორომ-ტრიალში სადღაც გამქრალიყო.

თითქმის ორ დღეს გაცხარებულად ეძებდნენ თურმე. ცენზორი გუბერნატორთანაც წასულიყო პოლიცმეისტერთან, დამცველ პოლიციისათვისაც მიემართნა, მაგრამ ცას ჩაეყლაპა, თუ მიწას სტუდენტის, გზა-კვალი ვერ ეპოვნათ.

გაჯავრებული და გაწბილებული ცენზორი სამსახურიდან გადამდგარიყო.

## სიზმრად ვნახე...

სიზმრად ვნახე, სატრფო ჩემი ჩემთან იყო სასურველი,
მანიაკი ყელს უმკობდა, პირს ებურა საბურველი.
ნაზ ღიმილით ხელს მიწვდიდა, თვალზე ცრემლი მოზდიოდა;
მოელვარე არღავანი ჩემს შორს ყოფნას შესჩიოდა.

თუ ვუყვარდი,
რაღად მკლავდა?
რაღ ჰფარავდა
სანუკარი?
ნეტავ გულსა
რად მიკლავდა
ჩემი სულის
მეგობარი?!.

მიტომაც ვუთხარ: „სულისა ღმერთო,
რადა ჰფარავდი შენსა გრძნობასა;
ვინ შეგიყვარებს, ვინ შეგითვისებს,
ან ვინ გაგიწევს ჩემებრ ძმობასა?!
მე ხომ შენს მეტი არვინ მიყვარდა,
ცხადად და სიზმრად შენა გხედავდი,
ამ გულში კვნესით შენს გამო თოვდა
და თუ გიყვარდი, რაღადა მკლავდი!..

ოდეს ვხედავ ნაზ ქმნილებას,
იქავე შენ მეხატები;
ხანც სატანას შეგადარებ
და ვაიმე! — ულვთოდ ვკვდები!
ბიატრიჩე შენში ვნახე,
დჟულიეტა, კორდელიაც;
გონერილად შენ დაგსახე
და შენვე ხარ ოფელიაც.

დილის ცვარი ხარ, ულრუბლო ღამეს
მწვანე ფოთოლის მამშვენებელი;
ნიაღვარი ხარ, დელგმა უზომო,
ამ ქვეყნის დამქცევ-ამშენებელი.

ასე უთხარი ჩემსა სატრფოსა,
ხელი მივეცი, გამოვეთხოვე;
გამომელძვიძა და მისი სახე
უხვად დასაფრქვევ ცრემლებში ვპოვე.

ქ. თელავი

ბ. ახოსპირელი.

## რუსეთი და ოსმალეთი

**ხელშეკრულების დარღვევა.**

„რუსკ. სლ." კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ: პორტასა და საფრანგეთის კაპიტალისტებ შორის დაწყებული მოლაპარაკება ანატოლიის რკინის გზისათვის სესხის აღების შესახებ თითქმის სრულდება.

ახიმ-ბეისა და ჯავიდ-ბეისაგან ანატოლიის რკინის გზის კომპ. დირექტორთან გამართულ თათბირს შედეგად ის მოჰყვა, რომ საბოლოოდ გადასწყდა, რათა საჩქაროდ შეიმუშაონ ხელშეკრულობა ამ დაწყებულების ტეხნიკურისა და ფინანსიური მხრისათვის.

პორტას შესაძლოდ მიაჩნია ასეთი ხელშეკრულობის დადება უფრო ადრე, ვიდრე ამ საკითხის შესახებ რუსეთსა და საფრანგეთს შორის დაწყებული მოლაპარაკება, რომელიც რუსეთის ინტერესებს ეხება, ასე თუ ისე გათავდებოდეს. საქმე ისაა, რომ 1896 წ. რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით, პორტას არ აქვს უფლება მცირე აზიაში რკინის გზების გაყვანა სხვა რამ საშუალებით დაიწყოს, თუ არ ოტომანის იმპერიის ხაზინის ხარჯით, რომელიც თავის დროზე სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვაში უნდა იყოს შეტანილი. ოსმალეთის ასეთი აჩქარება, მიუხედავად შეთანხმების პირდაპირი მოთხოვნისა, იმით აიხსნება, რომ ანატოლიის რკ. გზის ამშენებლები გზის ასაშენებელ ხარჯს გარდა 5 მილ. ოსმალურ გირვანქის სესხს ჰპირდებიან მას, რომელიც დღეს ოსმალეთის დაცალიერებულ ხაზინას ძლიერ ესაჭიროება; აი ამიტომ გაბედა მან რუსეთის ინტერესების უგულებელყოფა. უტყუარი ცნობების მიხედვით, ჯავიდ-ბეი და დელონე არა უგვიანეს შაბათისა მოაწერენ ხელს ამ შეთანხმებას; ამნაირად ოსმალეთის დიპლომატებს იმედი აქვთ, რომ რაკი შეთანხმება ხელმოწერილი იქნება, რუსეთი იძულებული გახდება დაეთანხმოს მომხდარ ფაქტს, რადგან იგი ამისათვის საფრანგეთს არ მოიმდურებს.

## ალბანელთა აჯანყება

მაჰმუდ-შევთეკ-ფაშის გადადგომამ, რომელიც მღელვარე ჯარის მტკიცე პროტესტმა გამოიწვია, ფრთები შეასხა ალბანეთის ამბოხებას, რადგან ოსმალეთის დიქტატორის დაცემა მთავრობის სისუსტესა და უილაჯობას მიაწერეს. მეამბოხეთა გამოჩენილ მეთაურს ქემალ-ბეის უთქვამს, ალბანეთის საერთო აჯანყება ორი-სამი დღის საკითხიაო. მართლაც ამ ბოლო ხანს, როგორც თვით ოსმალთა წყაროებიდანაც იუწყებიან, მოძრაობა თან და თან ძლიერდება და ახალ ახალ თემებს აგროვებს უკმაყოფილების დროშის ქვეშ. მირიდიტებს, რომელნიც შარშან დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ოსმალეთის რეგულიარულ ჯარს, კვლავ იარაღისთვის მოუკიდიათ ხელი; ჩერნოგორის საზღვარზე დღითი-დღე მოელიან მოძრაობის დაწყებას. ხოლო, როგორც სალონიკიდან იუწყებიან, დიაკოვოს მიდამოებში ამ დღეებში მომხდარა დიდი შეტაკება მეამბოხეთა და ჯარს შორის. შვიდი ათასი ალბანელი მოულოდნელად დასხმია თავს ოსმალეთის ჯარის რაზმს, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა.

ბრძოლა ორივე მხრით სასტიკი ყოფილა; მთავრობის ჯარი სრულიად დამარცხებულა და 350 კაცი დაუტოვებია ბრძოლის ველზე და უთავბოლოდ გაქცეულა.

შეიძლება ეს ცნობა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ოსმალეთის მთავრობას მეტად მცირე ჯარი ჰყავს ალბანეთში — სულ 30 ბატალიონამდე — და ასეთი მცირე ძალით იგი ვერას გახდება მეამბოხეთა წინააღმდეგ, რომელთა მოქმედების ფარგალი საათობით ფართოვდება და შესაძლებელია საერთო მღელვარებად გადაიქცეს, როგორც შარშან იყო. თუმცა ალბანეთის წინააღმდეგ გაგზავნილ ჯარის უფროსად გამოცდილი ჯავიდ-ფაშა დაინიშნა, რომელიც შარშანაც უფროსობდა [illegible] ექსპედიციას, მაგრამ ახლა [illegible] ჩაქრობის [illegible] ნასტირის [illegible] ლი ჯარი, რომელიც თანაგრძობას უცხადებდა მეამბოხეთ, ბულგარეთის საზღვრებზე გადაჰყავთ და ამ რიგად კიდევ უფრო სუსტდება მთავრობის მხედრობის ძალა. გარდა ამისა, თვით ჯავიდ-ფაშის დანიშვნამ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან შირშანდელ კომპანიის დროს მან მეტად ცუდი ხსოვნა დასტოვა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ არაბეთში კვლავ ძალას იკრებს დროებით მიყუჩებული მღელვარება, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ოსმალეთის მდგომარეობაც მართლაც დიდად დამაფიქრებელია.

## რუსეთი

**სათათბიროს არჩევნები.**

კიევის ამომრჩეველთა შორის ძალიან დიდი გულ-გრილობა ჰსუფევს თურმე. თითქმის ერთ თვეში ბინის დამქირავებელთაგან ქალაქის გამგეობას ერთი განცხადებაც არ მიუღია და არც არავის მოუთხოვნია თურმე საარჩევნო სიაში შეტანა. დიდი აგიტაცია მხოლოდ სამღვდელოებაში სწარმოებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განაცხადა სინოდის მიერ საარჩევნო განმარტების გამოცემის წინააღმდეგ. განმარტებაში ნათქვამი იყო, მართლ-მადიდებელთა ეკლესიის კანონთა თანახმად, მღვდლებს ნება არა აქვთ მრევლი მიატოვონ და სათათბიროს დეპუტატობისათვის თავისი კანდიდატურა წამოაყენონ, ეპისკოპოსის დაულოცავად. არც არქიელებს აქვთ ნება ეპარქია დასტოვონ და სათათბიროში წავიდნენ სინოდის დაულოცავადაო.

კანონიერია თუ არა სინოდის ამისთანა განკარგულება, ეს საკითხი უნდა გადასწყვიტოს მინისტრთა საბჭოს სხდომამ ამ მოკლე დროებში.

**გრიგოლ რასპუტინი.**

29 ივნისს, ჩქარის მატარებლით პეტერბურგს ჩასულა სახელგანთქმული გრიგოლ რასპუტინი.

რასპუტინი ჩამომხტარა ლიტეინი პროსპექტზე, სინოდის სახლში ვაგზალზე რასპუტინს კარეტა ელოდა თურმე, რომლითაც რასპუტინი წასულა ერთ მის მათაყვანებელ ქალთან, შემდეგ რასპუტინს უნახავს სინოდ. ს ობერ-პროკურორის თანაშემწე დამანსკი.

დამანსკის რასპუტინის ჩამოსვლის შესახებ განუცხადებია;

— სრულიად არა ვიცირა, რისთვის ჩამოსულა გრიგოლ ეფთიმეს ძე პეტერბურგში. თითონ ამის თაობაზე

---

ლებს, ბაგეს და თმას (შეად. ტ. 3: „მეფისა მზის თამარასა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა").

აბა ამ თავიანთ კბილებს ტუჩებს და შავ ზილფებს როგორ გააუბრალოგააჩვეულებრდნენ!

მესამე სტრიქონის მართლწერა „თავის ხელი ასად აგეს" (ქართველისეულში: „თავი ხელი ა, სად აგეს") აზრს აბნელებს ისე, რომ კაცმა აღარ იცის, რის გამმარტველია მეოთხე ბწკარის „მანდით".

იგივე შაირი ჩვენის გაგებით:

„ერთგან დასხდეს, ილაღობეს საუბარი ასადაგეს
ბროლ-ბადახში შეხვეული და გიშერი ასად-აგეს
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მჭვრეტთათ[2]) ავი კელი ასად აგეს:
ცეცხლთა, მანდით მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს".

თარგმანი:

ერთგან დასხდნენ, ილაღობეს, საუბარი გააწრფელეს (შინაურულად იწყეს უბნობა)
ბროლი (კბილები), ბადახში შეხვეული (ლალისფერი ხვეული ბაგეები) და გიშერი (შავი ზიფები) ასად-აგეს
ე. ი. სადა ჰყვეს, გაასადავეს (**ასად-აგეს** იგეთივე ფორმაა,ვით აჭამ-ასვეს).
ყმა ეტყვის თუ: „შენთა მჭვრეტთად ავი კეხლი (წეს-რიგი) ასად აგეს",
გააასეს, გაადიდეს, მაგალ., მზეთუნახავ ქალად კოშკ - დარბაზში ზრდით, ცხრა-კლიტულში დაკრძალვით, რომ ცნობის მოყვარეთათვის მოესპოთ ლონე მის დანახვაჭვრეტისა.

ცეცხლთა, მანდით (მაგ წეს-რიგით) მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს, ე. ი. ასადაგად, დასადაგად გახადეს.

ესრე თუ წინათ იყო, ახლა კი იგი (ავთანდილი) თინათინს „პირის-პირ პირსა უჭვრეტდა, სავსე ლხინითა დიდითა (ტ. 124).

2) ბანთად (ვისრამ. 19 ), გააგეს კაცთად, შვილთა თვისთათ და სხ.

**საქმე-დედლად** 526. საქმე დედალი, დედაკაცურად მომქმედი". საუჭოა ესეთი განმარტება. საქმე იჩქევა არა დედლურ-მამლურობით, არამედ მოხერხებით, ხელობით. ჭკუაზე ახლოა, ეს იყოს ბერძნული dedalos,-ა ხერხი, მოხერხება, ხელოვნება, მით უმეტეს, რომ თვით შოთა სხვა ადგილას (ტ. 1534) იხსენიებს რომანულს დედალს. ნესტარ-დარეჯანი ურჩევს ტარიელს მოჰკლას სასიძოდ მოწვეული ხვარაზმშას შვილი:

„მიბრძანა თუ: „ჰხმას დიაცი დიაცურად საქმე-დედლად:
დიდსა სისხლსა ვერ შეგაქცევ, ვერ ვიქნები შუა კედლად,—
რა მოვიდეს სიძე, მოჰკალ, მათთა სპათა აუწყვეტლად,
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად".

ტარიელმაც აასრულა ნესტარის დავალებული. ამისთანა რთულ. ხლართულ საქმის მოსაგვარებლად საჭირო იყო არა „დედაკაცურად მომქმედი", არამედ გმირულის ხერიანობით მოქმედების გამთავებელი.

„**სირა** 864. ნაცვლად სიტყვისა **სირი** 310. ჩიტი". სულაც არა. სირა და სირი ისე შორ არიან ერთურთისაგან, ვით ცა და დედამიწა. **სირი** წვრილ ფრინველობის სახელია ◌ იგი ერთვის აგრეთვე აფრიკეთის უდაბნოების მცხოვრების სირაქლემას სახელსაც: სირ-აქლემა. ხოლო **სირა** ფილოსოფ. ტერმინია, პეტრიწით (ქართ. მწერ. XXXXI) **სირა**. რომელი ასხვავებდეს ყოველთა წარმონარსთა ნათხზსა შორის სირასასა, რომელ არს უმსგავსოება. იუწყე, რომელ უმსგავსოებისა მიერ განსხვავდების ყოველი განსხვავებული. არამცა ეგოს სირა რიცხუთა, არცამცა სირამყოფთ"... ჩუბინაშვილით: „**სირა** მწკრივი, რიგი, შთამოსირვა სირად და რგვლად, სულთა სირათა"..

სირას ჩიტად „გახდენა", ისიც სახელმძღვანელოდ გამოცემულს წიგნში, ყოვლად შეუწყნარებელია.

„**სოქალი** 42. თეიმურაზით „სოქალი საზოგადო სახელია თვალთა პატიოსანთა". დაუბეჭდიათ:

ვახტანგს: მისოქალისა.
ჩუბინაშვილს: მისოქალისა
ქართვ. გამოც.: მის ოქალისა
კარიჭ. რედაქც.: მის სოქალისა.

ზ. კარიჭაშვილის აზრით, მე-42 ტაეპის მეორე სტრიქონის „უკანასკნელი სიტყვები წარყვნილია და, უეჭველია, უნდა სულ ბოლო სიტყვა ყოფილიყო **ალი**..., შეიძლება ყოფილიყოს რთული სიტყვა ოქ-ალი ან სოქ-ალი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გვესმის მნიშვნელობა არც **სოქისა**, არც **ოქისა**."

შოთას მე-42 ტაეპში კი **მისო** ხმარებულია თანაბრად სიტყვისა სამისო. ავთანდილი სპასპეტი როსტევან მეფის ქალს თინათინს **მისოდ**, ე. ი. სათვისოდ[3]) მიითვალიდა, მის ცოლად შერთვას ნატრულობდა. შეად. (ტ. 42):

„რა მეფედ დასმა მეფემან[4]) ბრძანა მისისა ქალისა[5]),
ავთანდილს მიჰხვდა სიამე: ვსება[6]) სჭირს[7]) **მისო**[8]) ქალისა:
თქვა: „ზედაზედა მომხვდების ნახვა[9]) მის ბროლ-ფიქალისა...
ნუთუ მით[10]) ვპოვო წამალი მე ჩემი ფერ-გამკრქალისა!"

„**ტერფი** 1336 ფეხი". ტერფი ფეხი კი არა, მისი ქვედა პირია. „ტერფით თხემამდის", ე. ი. ფეხის ძირიდან თავის წვერამდის. ტერფი—пята.

„**ტევრი** 219 ტყე". ჩვეულებრივი კი არა, ხშირი, დაბურული ტყე.

„**უი** 688 შეწუხება, მწუხარება". სწორია: „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნი ჰხამს უი იცისა". ჩუბინაშვილით: „ცოდნა უნდა ჰქონდეს უმეცარს"; თეიმურაზით: „ცოდნა სათანადო არს ერთი რომელიმე საქმე რომ არ იცოდეს კაცმან იმისი"; კარიჭაშვილის ფიქრით „წამლის ძებნას ცოდნა უნდა (ცოდნა ხამს) და მწუხარებაც მოსდევს (უი იცისა)". ტაეპში და ზემოთაც გაჭირებულ კაცის შველა—დახმარებაზეა ლაპარაკი. აქაც შოთა ამბობს: „ჰხამს... ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა (=ცოდება, შეცოდება) უი-იცისა" (ვინც უის იცემს, ვაი-უშველებელშია). სხვა ადგილას (832) შოთა ხმარობს ფორმას „უები": „თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს, სთქვას ვაგლახი და უები". უი-იცი უის-მცემი თავისა თვისის.

„**ფარჩი** 1144. ერთგვარი სასმისი, ხელადა". ფარჩს საინგილოში უწოდებენ სპილენძის ლიტრას. ტფილისის ოქრომჭედლები ვერცხლისა და ოქროსებსაც აკეთებენ.

„**ქედ-გორება** 1545 ქედად დაგორად გახდომა". ჩვენ სხვანაირად გვესმის: „მათდა საჭვრეტლად მჭვრეტელმან ჰხამს თავი იქედ-გოროსა", ე. ი. თავი აიმაღლოს ქედზე ამართულ გორასებ. არის კუდგორა, გორგორა, ქედგორა და სხვ.

„**ყე** 76,510. ეს სიტყვა, რომელსაც ცალკე მნიშვნელობა არა აქვს, იხმარება ზმნასთან, როდესაც ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია". ეს მართალია, თუ ნაწილაკი **ყე**=**ყე**=ხ მიჰყვება შესმენილს: ინგ. გ-ყავა-ყ=სვან. ჯა-ყა-ხ გყავთ, ჰ-ყავაყ=სვან. ხა-ყა-ხ ჰყავთ, მაგრამ რუსთაველის ხსენებულ ტაეპებში (76 და 510) **ყე**-ს უკავია ადგილი შესმენილის წინ ისე, ვით იმერულ **ქე**, **ქვე**: „მონანი **ყე** მოართმიდეს" (76); „დასტაქარნი წამალსა **ყე** მოგიტანდეს". ცხადია, რომ აქ **ყე** იგივე **ქე**-ა და არა მრავლობითი რიცხვის მაჩვენებელი რაჭული, ქიზიყური, ინგილოური და სვანური ყე=ყ=ხ შეად: ესაია 45,17: ისრაელთა „არა ჰრცხვენდეს-ყე... რამეთუ არღა მერმე ჰკდემეს-ყე, დაღათუ საცთურსათვის კერპთასა ჰკდემა-ყე პირველ".

„**შადი** 359. თეიმურაზი: „რამე პატივსადების მიზეზით გარეთ გასვლა". შადი თათრულად ნიშნავს მხიარულს, შადობა—მხიარულობას, სიხარულს. ამავე აზრით ეს სიტყვა ნახმარია 359 ტაეპშიაც:

„ავდექ, მსხდომნი ნადიმობით აემზადნეს ასაყრელად;
შადი! ვუთხარ ნუ ადგებით, მოვალ ხანსა დაუზმელად".

„შადი"-ს! მაგიერ აწინდელი ქართველი მასპინძელი იტყოდა: „მხიარულობა"!

„**შვედნება** 774 თეიმურაზი: ამება, სიამოვნება". კარიჭაშვილს დაუბეჭდია „ეშვედნების". რაა ეს? შოთა კი ამას ამბობს:

„თვალთა ტურფა საჭვრეტელი ყველა რამე ეშვ-ედნების", ე. ი. ეშვების, ედნების.

„**ხეული** 4. ხესავით ამოსული". ხეული მიმღეობაა ზმნისა ხევა, **თხლეშა**. ხეული, ე. ი. თხლეშილი, განწონილი. შეად.:

„ვინცა ისმინოს, დაესვას ლხინვარი გულსა ხეული".

**რიალი** 1390. საბათი „ბოროტი მთქმელობა", ჩუბინაშვილით „მარხცი. სიმარცხე, წარუმართებულობა საქმისა, неудача". ამგვარ სახელოვან კაცთა განმარტების შემდეგაც ჩვენ ნამდვილ აზრს ვერ მივუხვდით სიტყვას. **რიალი**, თუმცა მის ძებნას ბევრი დრო მოვახმარეთ. ვურთავ აქ ყველა მოგროვილ მასალას იმ იმედით, რომ ეგების ეს შესანიშნავი სიტყვა ბოგინობდეს სადმე ჩვენს ქვეყანაში და იქნებ ვინმემ გაგვიზიაროს, სად როგორ იხმარება.

**ტაეპი 1390. ქაჯეთის ციხის აღება** ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მიერ:

„ანაზდად ცხენი გაჰქუსლეს, მათრახმან შეჰქმნა წრიალი...
რა ნახეს კარნი, გაახვნეს, ქალაქით გაჰხდა ზრიალი...
სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს **რიალი**,
იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.
მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღვთისა" და სხ.

„**ამირან-დარეჯანიანი**" (საქ. მუზ. № 654, გვ. 63, დაბეჭდ. გვ. 34):

„ვაშად რომე მოხვედ ამირან დარეჯანისძეო... მერმე მან დიდომან კაცმან ეგრე არქვა, ვითა, უსიბ, ყოველი **რიალი** შენა ჰქენ და შეაპყრობინე იგი ლომნი კაცნი".

„**კათალიკოზ-ბაქარიანი**" გვ. 8 **კახელების ტფილისზე მოსევა**:

„კრწანისის ბოლოს შეიბნენ, ომი შეიქმნა ძრიალი..
მოიკრა ბაქარმა ხელი, ფრანგულმა შექმნა ბრიალი,
შევიდა შუას რაზმშია, ლომივით შექმნა ტრიალი..
ნუმც დეელევა კახს ბატონს, რაც რომ დამართა **რიალი**!"

არსად „ბოროტის მთქმელობა"! არსად „წარუმართებულობა"! სარწმუნო განმარტებას მოველით პატივცემულ მკითხველისაგან.

ჩვენი შენიშვნები მიმართულია არა ვისიმე პიროვნების დასამცირებლად, — ეს ჩვენი საქმე არც როდის ყოფილა და არც ამიერ იქნება, — არამედ გამოსარკვევად იმ წმინდა, მცარცველებისა, ამ შემთხვევაში, მამა-პაპათი იმ სიტყვიერ საუნჯისა, რომელიც უნდა შევიდეს ქართულს ლექსიკონში. უამგვარ წინასწარ შრომოდ სასურველი ლექსიკონი ვერ შესდგება. საჭიროა საერთო ძალღონით გამოირკვეს ყოველი წვლილი, გამომზეურდეს ყოველი შეძენილობა არა საკრიტიკო სალერღელის აშლილობითა და პირად თავმოყვარეობის გასიებით. არამედ მხოლოდ საზოგადო საქმისთვის სარგებლობის თვალთხედვით. საქმიანს შენიშვნებსა და შესწორებებს ჩვენ დიდის მადლობით მივიღებთ, ხოლო ერთგვარ ჩვენებურ ავადმყოფურ ჟინიანობითა და თავმოყვარეობით ატეხილს წილადობილას უგულებელს ვყოფთ ჩვეულებრივ.

მ. ჯანაშვილი.

3) ვისრამ. გვ. 187: „ძიძა სამისოდ მისოდნადვე იზრდა".
4) როსტევანმა.
5) თინათინისა.
6) ავსება სახელით, დიდებით.
7) საჭიროა.
8) სამისო, საბედო, საცოლო.
9) სპასპეტობის თანამდებობის გამო.
10) ზედი-ზედ ნახვით.

არა უთქვამს რა და რომ მეკითხნა, ვერ მოვახერხე.

— დიდ ხანს კი დარჩება რასპუტინი პეტერბურგშიო, უკითხავს ობერ-პროკურორის თანაშემწისათვის „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტს.

— სამწუხაროდ არც ეგ ვიცი. ხომ მოგეხსენებათ, ახლად ჩამოსულ სტუმარს რომ ჰკითხო, როდის წახვალო, მოუხერხებელი იქნებაო, უპასუხნია დამანსკის.

როგორც გაუგიათ, რასპუტინი იერუსალიმს მიდის და საუცხოეთო პასპორტი აუღია კიდევაც.

29 ივნისსავე რასპუტინი ბალტიის ვაგზალში უნახავთ. იგი მატარებლით პეტერგოფისაკენ წასულა.

# მოწერილი ამბები

**ს. წინამძღვარიანთ-კარი** (საგურამოს ველი). ვისაც ეს პატარა სოფელი და მისი მშვენება—სამეურნეო სასწავლებელი ამ ათიოდე წლის წინად უნახავს, ის ეხლა ბევრს ცვლილებას ნახავს და მით სიამოვნებას განიცდის. მგონია, წერა-კითხვის მცოდნე ყველა ქართველმა კარგად იცის, რომ ამ სოფელში 1883 წელს უფასო სასოფლო სამეურნეო სასწავლებელი დაარსა სასიქადულო მამულიშვილმა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა. თვით ის სოფელი სადაც სკოლა არსებობს, მთელი საგურამოს ველისთვის ისეთი მოხერხებული ადგილია, რომ მშვენივრად შეუძლიან ისარგებლოს რამოდენიმე მოზრდილმა სოფელმა. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ისინი, ვისთვისაც ბ-ნ წინამძღვრიშვილმა სკოლის დაარსებით არაფერი დაზოგა, დღემდე სკოლით ძლიერ ნაკლებად სარგებლობდნენ. დალოცვილებს ოჯახიდან შეეძლოთ შვილები სკოლაში ჭტარებინათ და გარდა ბავშის „ოჯახიდან მოცდენისა“ (თუ კი სკოლაში ბავშის მიბარება მოცდენად ჩაითვლება!) არაფერი ეხარჯებოდათ, მაგრამ დღემდე საგურამოს ველისმცხოვრები სკოლაში შვილს ძლიერ ნაკლებად აბარებს. თუ ვინმე „გმირი“ გამოერეოდა, შვილის ცოდოში არ ჩადგებოდა და სკოლაში მიაბარებდა, დანარჩენები სასაცილოდ იგდებდნენ. სხვათა შორის, ალბად, ამის მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ერთხელ მიბარებული აქაური ყმაწვილი სწავლას არ ასრულებდა. ამ რიგად ამ ფრიად სასარგებლო სკოლით მთელ მის არსებობის ხანაში გარეშეებს მეტად უსარგებლიათ, ვიდრე ადგილობრივ მკვიდრის შვილებს.

ამ სამის წლის წინად სკოლაში 20—24 მოწაფე იყო, იმათშიც ნახევარი მოსულები. დღეს კი 120 მოწაფე სწავლობს, მათში გარეშე 30 თუ არის—მეტი არა. როგორც გადმომცეს, მომავალი ენკენისთვიდან მოწაფეთა რიცხვი მოსალოდნელია ორასამდე ავიდეს. ამ რიგად ახლო მომავალში გარეშეს მგონი, თუ არ სპეციალურ კლასებში, ადგილიც აღარ დაურჩეს. ამ რიგად პატივცემული სკოლის დამაარსებელი მოესწრო იმ ნეტარ დროს, რომ მის მიერ გამომცხვარ ტაბლას სწორედ ის შესჭამს, ვისთვისაც დამზადებული იყო. ყველაფრით სჩანს, რომ სკოლას ადგილობრივი მცხოვრებლები ისე შეიყვარებენ, როგორც არსებობისთვის აუცილებელს. თუ ამდენ ხანს სკოლით გარეშენი სტკბებოდნენ, ამის შემდეგ ნაყოფით თვით ადგილობრივი მცხოვრებნი დასტკბებიან.

გარეშენი რომ ამ სკოლას თვალის ჩინივით უცქერიან, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ორს მაგალითს“. ამ 15 დღის წინად შემთხვევით ეს სკოლა ინახულა დ. ახალსენაკის მცხოვრებმა, ვაჭარმა ნესტორ იორდანეს ძე ლეჟავამ; სკოლით აღტაცებულმა სასწავლებელს შესწირა ეზოში დასადგმელი გალკინის დიდი ფარანი. პატ. ილია ივანეს ძე წინამძღრიშვილმა ბ-ნ ლეჟავას დიდი მადლობა ვამოუცხადა, რაზედაც ლეჟავამ მოკრძალებით უპასუხა: „მადლობელი მე ვარ რომ თქვენმა ნაყოფმა უზომოთ დამატკბო, მასიამოვნა—ვისურვებ თქვენისთანა მზრუნველი მამა ქუთაისის გუბერნიასაც გამოსჩენოდეს, მე კი თქვენს მიერ ანთებულ სულიერ ლამპარს ჩემს წვლილს მიუმატებ და თეატრის დარბაზსაც გაგინათებო“.

იგივე სასწავლებელი დაუთვალიერებია მცხეთის ნაწილის ახლად გადმოყვანილ ბოქაულს ბ-ნ მელიტონ ანტ. დუმბაძეს და ნასიამოვნებ ბოქაულს მასწავლებლებისთვის აღუთქვამს, როცა მკა გათავდება, აქვე გავჩერდები და მანამდე არ წავალ, სანამ მცხეთამდე ხეირიან საეტლო გზას არ გავაკეთებო. უგზოობა ამ სკოლის წარმატებას დიდად აფერხებს. საჭიროა არაგვზე ხიდიც. ეს ხიდი საჭიროა არა მარტო საგურამო—მცხეთისათვის, არამედ ერწოელებისათვისაც. იგი სწორედ ძეგლი იქნება იმისი, ვინც მის აშენებაზე იზრუნებს.

**სტუმარი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

4 ივლისი.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** პოლკოვნიკ ტოლმაჩევის მიერ კუსელისაკენ გაგზავნილი რაზმი ყაზახებისა შეეფეთა შაჰსევანთა ბრბოს. გაჩაღდა გაცხარებული სროლა. შემდეგ ნეფეზლეს ახლო რაზმი დაეტაკა შაჰსევნებსა. რაზმსავე მიეხმარა აგარის გუბერნატორი. ბრძოლამ თითქმის 29 და 30 ივნისს გასტანა. შემდეგ რაზმი კერბულაყისაკენ წავიდა. შაჰსევნები ძალიან სცდილობდნენ თოფ-იარაღი წაერთმიათ რუსის რაზმისათვისა. ამ ბრძოლის დროს რუსთა მხარეს იყო რახიმ-ხანის შვილი სარდარ-ნუსრეთი თავისი მხედრებითა. რაზმი პირველ ივლისს აგარს დაბრუნდა. რუსებისათვის ორ დღის ბრძოლაში მოუკლავთ 3 და 5 დაუჭრიათ. დაჭრილთა შორის არის არტილერიის აფიცერი საპოვი. რამდენად დაზარალებულან შაჰსევნები, ჯერ არ გამორკვეულა. ეტყობა, ზარალი დიდი უნდა იყვეს. რუსებს ებრძოდნენ ხოჯაბეკლელები და სხვანი, რიცხვით 4 ათასი კაცი. ბრძოლის ბოლოს ხანს შაჰსევნებს სურსათი შემოჰკლებოდათ.

**ინგლისის პალატა.**

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. კერზონმა მთავრობას ურჩია, ძლიერ კარგად მოიფიქრეთ სპარსეთს იქითა მხრის რკინის გზის საქმე, ვიდრე გადასწყვეტდეთ საბოლოოდ და მუშაობას შეუდგებოდეთო. სტატს-სეკრეტარმა მორლეიმ უპასუხა: ჩვენ არა გვდომებია სპარსეთში გზა გაგვეხსნა უცხოელთა დაწყებულებთათვის, არა გვსურს აგრეთვე, სპარსეთმა მნიშვნელოვანი კონცესიები მისცეს ვისმე, რადგან შეიძლება ჩვენი ინტერესებისათვის საზარალო იყოს, ამიტომ ვცდილობთ შევინარჩუნოთ უფლება და შეძლება, თუ საჭირო იქნება, ჩვენვე გავიყვანოთ გზაო.

**ოსმალეთის პალატა**

**სტამბოლი.** პალატამ მოისმინა დიდი ვეზირის დეკლარაცია. დეკლარაციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ძლიერ ხშირად ჩამოვარდება ხოლმე უთანხმოება, რის მოსასპობად დიდი ენერგია არის ხოლმე საჭიროო. პალატამ 194 ხმით 4 წინააღმდეგ მთავრობას ნდობა გამოუცხადა.

**არნაუტთა გახიზნვა**

**ბელგრადი.** ოსმალეთში სამხედროთა აჯანყების გამო ძველი სერბიიდან და ალბანეთიდან არნაუტელების ოჯახები გამორბიან. ეს გარემოება სერბიას ძალიან აფიქრებს.

**მფრინავ ლატამის დაღუპვა**

**პარიზი.** სახელგანთქმული მფრინავი ლატამი, კონგოში ნადირობის დროს გარეულ კამეჩს მოუკლავს.

**ქალალდის მოთამაშის მოკვლა.**

**ნიუ-იორკი.** 3 ივლისს თოფით მოჰკლეს სახელგანთქმული ქაღალდის მოთამაშე როზენტალი. იგი ავტომობილიდან მოუკლავთ, სადაც ექვსი კაცი მჯდარა, მათში ორი პოლიციელი ყოფილა. როზენტალი ერთი მთავარი მოწმე იყო იმ საქმისა, სადაც პოლიციელებს ბრალსა სდებდნენ, საიზარტო თამაშობათა შემოსავლის ნაწილს ქრთამად იღებთო.

**რუსეთი.**

**რედაქტორების სამართალში მიცემა.**

**პეტერბურგი.** „გრაჟდანინისა“, „რეჩისა“, „სოვრემენნოე სლოვოს“ და „რუსკოე ზნამიას“ რედაქტორები სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების 1034 მუხლის მე 3 პუნქტითა. ყველა ამათ აბრალებენ, შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწის ხარუზინის მოქმედების თაობაზე ცნობათა გავრცელებას.

ოფიციალად უარჰყოფენ გაზეთების ცნობას, ვითომ „რუსკოე სლოვოს“ „რუსკია ვედომოსტის“ და გოლოს მოსკვის“ რედაქციები გაეჩხრიკნოთ პეტერბურგიდან მოსულ ბრძანების მიხედვით. ტყუილია, აგრეთვე ამბავი, ვითომ გენერალი უცხოეთს წასულიყოს აზეფთან მოსალაპარაკებლად.

# ფონდი.

**იაკობ გოგებაშვილისა.**

| | |
|---|---|
| დღევანდლამდე ჩვენ რედ. იყო შემოსული | 479 მ. 24 კ. |
| კიდევ მივიღეთ: მღ. კავკასიძისაგან (მანგლისში) | 9 „ 50 „ |
| გრ. ჯანუყვაძისაგან (სტრაბადში) | 1 „ — |
| მოწაფე დ. ქავთარაძისაგან (ქუთაისში) | 6 „ 20 „ |
| სულ არის | 495 მ. 94 კ. |

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

ქართულ გიმნაზიასთან დაარსებულ უფასო სასადილოს საზოგადოების კომიტეტი ღრმეს მადლობას უძღვნის ქართველ მუშებს, რომელთაც ბ. ჩოგახიძეს მიერ იაკობ გოგებაშვილის გვირგვინისათვის მათ შორის შეგროვილი ფული 5 მანეთი და 80 კაპ. ამ სასადილოს შემოსწირეს. მადლობას ვუძღვნით აგრეთვე რესტორან „ბონ-მონდის“ და „კურრალის მოსამსახურეთ, რომელთაც იაკობ გოგებაშვილს გვირგვინისათვის შეგროვილი 10 მანეთი შემოსწირეს სასადილოს. ჩვენთვის მით უფრო სასიამოვნო და ძვირფასია ეს შემოწირულება, რომ ის ეკუთვნის ისეთ ხალხს, რომელთაც თავის ოფლით ნაშოვნ ფულიდან არ დაუშურებიათ ღარიბ მოწაფეთათვის თავისი წვლილი.

კომიტეტის თავმჯდომარე კნ. **მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა.**

**„სახალხო გაზეთის“ რედაქციის მიმართ.**

ბ-ნებო!

თქვენ სწორედ იშვიათი მიუდგომლობა გამოიჩინეთ და მასპინძლობა გაუწიეთ გ. ჟორდანიას, გაზ. „ზაკავკაზიე“-ს მუდმივ თანამშრომელს: დაუსტამბეთ ყველა წერილები ჩემი პიროვნებისა და გაზეთ „თემის“ წინააღმდეგ, თუმცა მას ისედაც ჰქონდა საშუალება მოეთავსებინა და აკი კიდეც მოათავსა იგივე წერილები ხსენებულ გაზეთში.

ახლა ჩემს თავს ნებას ვაძლევ დაგეკითხოთ,—**ეთანხმებით** თუ არა ამ წერილებში ნათქვამს გაზ. „თემის“ და მის რედაქტორის შესახებ?..

ეს უქმი კითხვა არ გახლავთ. პასუხი საჭიროა ჩემთვის...

ბრიან პირები, არის ჟურნალ-გაზეთები, რომელთა აზრს ანგარიშს უწევს ყოველი პატიოსანი ადამიანი და ბეჭდვითი ორგანც...

**გრიგოლ დიასამიძე.**

**რედაქციის პასუხი.**

ჩვენს გაზეთში დასტამბულ წერილებით ბ-ნი ჟორდანია სთხოვდა გაზეთს „თემს“ და მის რედაქტორს—ეკისრნა კიდეც დამტკიცება იმ ბრალდებისა, რომელიც „თემში“ წამოაყენეს მის წინააღმდეგ. **ვეთანხმებით** ბ-ნ ჟორდანიას, რომ მას უფლება აქვს მოეთხოვა ეს. ვეთანხმებით იმაშიც, რომ არ ვარგა, როდესაც ადამიანს საშინელ ბრალსა სდებენ და ამ ბრალდების დამტკიცებას კი არა კისრულობენ.

**„სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მ ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 ს. 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7. ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონტუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაღლაკის მოედანზე.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

**საფოსტო** № 2, რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 12 ს. გემი ვ. კ. „კსენია“.

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები** ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დილით და შაბათობით დილის 12 საათზე. და წვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18 ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.


# განცხადებანი

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ბაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედ თა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.**

(0—1253—78)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“—11—12 ს. შეხვედრება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებით, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი სნეულ. და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ...-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბეგტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.93)

**ექიმი** ქალი ვენერისა **ნინო ... ძ**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ... ლავში 9—3 საათამდე.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიდეში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში ... იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ... ახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს. ... ამოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. ... (თ. 1037.73)

## იყიდება იაფად

გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ყოფილი ნიკიტინის ცირკის მასალები, სახელდობრ: ფიცრები, ბალკები, ბოძები, ჭახრაკები, გადასახურავი რკინა და კარები. იკითხეთ იქვე.

(3.543.2)

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთა და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი: Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д.

(100.—231.16)

**გამოცდილი** მასწავლებელ ქალვაჟთა ჯგუფი, რომლის სათავეში დგანან **უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დასრულებულნი, ამზადებს ქალ-ვაჟთ ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლებისათვის:** სავაჟო და საქალო გიმნაზიებისათვის; კადეტთა კორპუსისათვის; ქართული გიმნაზიისა, რეალური, საკომერციო, სამხედრო, ქალთა საეპარქიო, სატეხნიკო, მიწის-მზომელთა, სააგრონომიო, საფერშლო, სასულიერო და საქალაქო სასწავლებელთათვის; სამასწავლებლო და საბებიო ინსტიტუტისა, სასულიერო და სამასწავლებლო სემინარიისათვის, **სიმწიფის მოწმობის მისაღებად, საშინაო და სახალხო მასწავლებლ...**, ... და პირველი კლასის ჩინის მისაღებად. **იქვე იღებენ ანბანის უცოდინარ ბავშვებს.**

**მიმართეთ:** 1) ელისაბედ. ქუჩა, № 23, ბებურიშვილის ბინა, ნაშუადღევის 4—6 საათამდის, 2) ნიკოლოზის ქუჩა, № 92, ქარცივაძის ბინა, დილის 9—12 საათ., საღამოს 4—6 საათამდის. 3) ავჭალის შუკა (პერეულოკი, № 9, კოლიუჯნის ბინა, ნაშუადღევის 3—4 საათამდე.

(25—12 5—17

## ვერა „ბალი ედემი“.

საუკეთესო ჰაერი. შეიძლება ადამიანმა თავისუფლად ამოისუნთქოს. იქვე **უკრავს ყოველ დღე ქალთა და ვაჟთაგან შემდგარი „სიმებიანი ორკესტრი“.** საუკეთესოდ მოწყობილი ბუფეტი. ადგილობრივი და საზღვარგარეთული ყოველნაირი სასმელები. სამზარეულო აზიური და ევროპიული ვკისრულობთ სადილებისა და ვახშმების გამართვას ყოველ დღე არის **„ცოცხალი თევზი“.** დაკვეთა შეიძლება პირადად და ტელეფონითაც.

**ტელეფ. № 296.** პატივისცემ. **კონსტანტინე ი. ბაქრაძე.**

(9 1344.13)

## საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

(წ.1131.98)

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

აგრეთვე **ყოველ დღე მოგვდის** საკუთარ სამრეწველოებიდან **ახალ-ახალი ზუთხი, თართი და ლოქო.** მაღაზიაში ყოველთვის მოგვეპოვება **მოხარშული დოში, იანი, ჭიპა, გამოსული ზურგიელი:** კავკასიისა, დონისა, ორაგულისა, გვაქვს ყოველნაირი საქონელი და კონსერვები.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ეძებს იმისთანა პირებს, რომელთაც შეეძლებათ ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოკირწყვლა; სულ 100 ათასი მანეთის სამუშაოა. უბრალო ქვით მოკირწყვლა—15 ათასი მან.; მიხეილის პროსპ. ასფალტით—40 ათასი მან. და ველიკოკნიაჟესკი ქუჩისა მსხვილ—ოთხკუთხითა—45 ათასი მანეთისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება პირადად და დაბეჭდილ კონვერტით მიცემულ განცხადებითაც, რომელიც უნდა შეიტანონ მსურველებმა ქალაქის გამგეობაში ამ წლის 14 ივლისის დილის 12 საათამდე.

სატეხნიკო პირობები, აგრეთვე პირობები სამუშაოს შესასრულებელ ხელშეკრულებისა შეიძლება ჰნახონ მსურველებმა ტფილისის გამგეობის საამშენებლო განყოფილების კანცელარიაში ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფულის გადახდის ძირითადი პირობა ის არის, რომ სამუშაოს ქირას ქალაქი ნაწილ-ნაწილ გადაიხდის ათი წლის განმავლობაში, ყოველ ექვს თვეში გადაიხდის მთლად მისაცემ ფულის ერთს მეოცედსა და ქალაქზე დარჩენილ ფულის პროცენტს, არა უმეტეს 6% წელიწადში. განცხადებასთან ერთად, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე, წარმოდგენილ უნდა იქმნას საწინდარი—კაპიტალის 5%.

(2—1373—1)


ტფილისი, მუხრანის ქუჩა 12, სტამბა „შრომა“.